## გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი გოგშელიძის

## 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის

## ა ნ გ ა რ ი შ ი

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 202 საკითხის განხილვაში. დავესწარი საკრებულოს ბიუროს 14 სხდომას და 308 საკითხის განხილვაში მივიღე მონაწილეობა.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოში" ფრაქციის წევრი. დავესწარი ფრაქციის 8 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 129 საკითხის განხილვაში.

ვარ ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე და სივრცითი - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი. დავესწარი ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 18 საკითხის განხილვაში. ასევე დავესწარი სივრცითი - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 41 საკითხის განხილვაში.

მთელი წლის განმავლობაში როგორც საკრებულოს პროპორციული წევრი, პერიოდულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს და დავესწარი სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს.

- შევხვდი ქ. გორში, სტალინის ქუჩის მცხოვრებლების პრობლემას წარმოადგენს ქალაქში არსებული ძაღლების სიმრავლე. ასევე ქალაქში არსებულ გზებზე ,,ხელოვნური უსწორმასწორობები" არარსებობა.

- სისტემატიურად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს და მათი პირადი თუ სხვადასხვა სციალური სახის პრობლემების მოგვარების მიზნით მივმართავდი შესაბამის სამსახურებს, რათა მომხდარიყო დროული რეაგირება.

- გორში შაფთოშვილის ქუჩაზე ,,ბარაკებში" მცხოვრები რამდენიმე ოჯახი ითხოვდა შიდა გზის მოწესრიგებას და საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთებას, რაზედაც მივმართე შესაბამის სამსახურებს, შიდა გზის პრობლემა აღმოიფხვრა, ხოლო სახურავის შეკეთებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მერიასთან კონსულტაციები.

- ვიმყოფებოდი სოფელ ქვახვრელში ნაზარაშვილების ოჯახთან, რომლებსაც მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, შესაბამისი კომისიის მიერ შერჩეულ ოჯახს გადავეცით საცხოვრებელი ხის კოტეჯი.

- აქტიურად ვიყავი ჩართული ჩემს კოლეგებთან ერთად უკრაინაში გასაგზავნი ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნის პროცესში. მომხდარიყო ტვირთის შეუფერხებლად და დროულად ჩასვლა დანიშნულების ადგილამდე.

- ვარ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა სახის სამუშაო შეხვედრებში, როგორც მუნიციპალიტეტში, ასევე იყო გასვლით სამუშაო შეხვედრები, სადაც საბჭოს წევრებთან ერთად ვმსჯელობდით სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე და სხვადასხვა საკითხებზე.

- მოვინახულე ბობნევის საზაფხულო ბანაკი, გავეცანი ბანაკის საცხოვრებელ პირობებს და დავესწარი ახალგაზრდების მიერ მოწყობილ ღონისძიებას.

- მთელი წლის განმავლობაში მაქსიმალურად ჩართული ვარ ახალგაზრდების ხელშეწყობაში, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს მიერ გამართულ ღონისძიებას სადაც ქალაქის მერმა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ევროპასა და საქართველოში გამართული ჩემპიონატების ჩემპიონები, პრიზიორი სპორტსმენები და მათი მრწვთნელები დააჯილდოვა.

- პერიოდულად ვეცნობი ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს და ვხვდები ჩემს ამომრჩეველს.

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში, *როგორიცაა ,,გენდერული თანასწორობის საბჭო“ და* გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განათლების, კულტურული ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროექტების თანადაფინანსების პროგრამების საპროექტო განაცხადების/განაცხადების განხილვისა და შეფასების სამუშაო ჯგუფი. გარდა

ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი გოგშელიძის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ.გორი 2022 წლის 24 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

**საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე:** მარლენ მადირაძე;

**ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე:** კობა ბერიანიძე;

**საკრებულოს წევრი:** გიორგი გოგშელიძე;

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:** ქ.გორის მოსახლეობა, და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ინგა ტარიელაშვილი.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** მარლენ ნადირაძე;

## დღის წესრიგი

**გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი გოგშელიძის 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში**

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი გიორგი გოგშელიძე და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს გიორგი გოგშელიძეს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა

მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა გიორგი გოგშელიძემ აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

**აზრი გამოთქვეს:** ზურა კაპანაძემ; გიორგი კაკაშვილმა და დავით ჩოჩიშვილმა.

**გადაწყვიტეს:** პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: მარლენ ნადირაძე;

საკრებულოს წევრი : გიორგი გოგშელიძე;